ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 196

(გამარტივებული შესყიდვა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის №1805 განკარგულების საფუძველზე, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2017 წლის 28 დეკემბერს ქ. თბილისში.

შემსყიდველი: სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის სოფიო ტურიაშვილის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქუჩა №10ა, ტელეფონი 299-11-08

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №GE24NB0330100200165022, ბანკის კოდი TRESGE22, ს/კ 205005910

მიმწოდებელი: შპს „ჯეონეთი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 204918321

მისამართი: ქ.თბილისი, ნუცუბიძის ქ. N171

დირექტორი: ალექსანდრე ქევხიშვილი

საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიშის № GE43BG0000000118402601.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის საკუთარი შემოსავლებიდან IP სატელეფონო მომსახურების შესყიდვა დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი №2-ის (მომსახურების პირობები) შესაბამისად (CPV-64215000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **625.00 ლარი.**

ექვსას ოცდახუთი ლარი და ნული თეთრი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს გაუწიოს IP სატელეფონო მომსახურება დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი №2-ის (მომსახურების პირობები) შესაბამისად.

ბ) მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში;

ბ)შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;
გ)მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია, ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი თემურ ჩაჩიბაია.
6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
6.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი გაწეული მომსახურების დადასტურების და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია, ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის ანგარიშ-ფაქტურა და დეფექტური აქტი (თუ არ არის დდგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა).
6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი თემურ ჩაჩიბაია.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1 გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;
7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

8.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, თ. ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №10ა.
8.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 5 მარტის ჩათვლით გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეწყდება.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად – ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას და შეთანხმებული ხარისხით. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით.
10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20% - ის ოდენობით.
10.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში) შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02% - ის ოდენობით.
10.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
10.6. ვალდებულების ნაკლიან შესრულებად ჩაითვლება მიწოდება მომსახურების, რომელიც არ არის მხარეების მიერ შეთანხმებული ხარისხის მქონე ან ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, გამოსადეგი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

10.7. დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ ვალდებულების დარღვევის გამოსასწორებლად მიმწოდებლისთვის წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების გზით მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლისთანავე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ დამატებითი ვადის დაწესებას აზრი არ აქვს ან ვალდებულების დათქმულ ვადაში შესრულება შემსყიდველის არსებით ინტერესს წარმოადგენს, შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლის შესახებ.

11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

12.3 ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ფარგლებში.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი სოფიო ტურიაშვილი	შპს „ჯეონეთი" დირექტორი ალექსანდრე ქვეხიშვილი

28.12.

დანართი№1

N	დასახელება, მომსახურების აღწერა	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი (1 თვე)
1	სატელეფონო ნომრებზე სააბონენტო გადასახადი	ცალი	63	1	**63**
2	E1 ტიპის არხის მომსახურება (თვე)	ცალი	1	0	**0**
3	ადგილობრივი სატელეფონო საუბარი სხვა ქსელის შიდა ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონის აბონენტებთან	წუთი	14600	0.02	**292**
4	ადგილობრივი სატელეფონო ქსელის შიდა ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონის აბონენტებთან	წუთი	ულიმიტო	0	
5	სატელეფონო საუბარი მობილურ ოპერატორებთან	წუთი	4270	0.045	**192.15**
6	საქალაქთაშორისო საუბრები ქსელის შიდა ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონის აბონენტებთან	წუთი	ულიმიტო	0	
7	საქალაქთაშორისო საუბრები სხვა ქსელის შიდა ნომრებზე, მათ შორის ფიქსირებულ და უკაბელო ტელეფონის აბონენტებთან	წუთი	1400	0.04	**56**
8	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი ფიქსირებული ტელეფონის ნემრებზე და მობილურ ოპერატორებთან	წუთი	140	0.156	**21.85**
	ჯამი				625 ლარი

შპს „ჯეონეთი"
დირექტორი
ალექსანდრე ქევხიშვილი

მომსახურების პირობები

- შეერთების სტანდარტი - E1;
- არხის ტიპი - ოპტიკურ ბოჭკოვანი;
- Broadcast არხების რაოდენობა - არანაკლებ 30;
- Data არხების რაოდენობა - არანაკლებ 1;
- სატელეფონო ნომრების რაოდენობა - არანაკლებ 63;
- პარალელური ზარების შესრულების მხარდაჭერა - არანაკლებ 30 ერთ E1 არხზე;
- სატელეფონო ნომრის ან ფიზიკური ხაზის დაზიანების შემთხვევაში სააბონენტო გადასახადის დარიცხვის შეჩერება დაზიანების აღმოფხვრამდე;
- კომპანიის შიდა სატელეფონო ქსელში ქვეყნის მასშტაბით უფასო და ულიმიტო (მათ შორის საქალაქთაშორისო) საუბარი, მობილურ და სხვა ოპერატორებთან საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საუბრებზე შეზღუდვის შენარჩუნებით;
- სამინიტროს მოთხოვნის შესაბამისად სხვა სატელეკომუნუკაციო კომპანიის სატელეფონო ქსელში გამავალი ზარების შეზღუდვა და მოხსნა, თანხობრივი ლიმიტის კორექტირება;
- სატელეფონო მომსახურების დამრგვალება 1 წმ სიზუსტით;
- ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესაძლებელია წარმოიშვას დამატებით ახალი სატელეფონო ნომრების, E1 არხის ჩართვა და და ამის შესაბამისი მომსახურების აუცილებლობა, იგივე პირობებით;
- სამინიტროს მოთხოვნის საფუძველზე კონკრეტულ სატელეფონო ნომერზე განსაზღვრული ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში მობილურ, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ნომრებზე გასვლა (ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში მობილურ, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მომსახურების შეჩერება მიმდინარე თვის განმავლობაში);
- E1 არხზე მიბმული ტელეფონების ნომრების გამოყენებით შესაბამისი საკომუნიკაციო კომპანიის შიდა სატელეფონო ქსელში ზარები უნდა განხორციელდეს უფასოდ და ულიმიტოდ;
- სატელეკომუნიკაციო კომპანიის მიერ დამონტაჟებული აპარატურის დაზიანების ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მათი შეცვლა უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ, ინციდენტებზე რეაგირების დროის გათვალისწინებით;
- ზარების შემოსვლა და გასვლა უნდა ხორციელდებოდეს არსებული სქემით, კერძოდ: სამინისტროს ნებისმიერი შიდა ნომრიდან გასულ ზარს უნდა ენიჭებოდეს ერთი და იგივე ნომერი (არსებული მდგომარეობით ეს ნომერია 2991000), ხოლო შემოსული ზარი ყველა ნომერმა უნდა მიიღოს დამოუკიდებლად (Direct);
- საიმედოობის დონე (Uptime)- არანაკლებ 99.9%;
- ტექნიკურ მხარდაჭერა 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე;
- პირადი ტექნიკური მომსახურების პერსონალის და მენეჯერის გამოყოფა;
- ინციდენტზე რეაგირების დრო - არაუმეტეს 3 საათი;

შპს „ჯეონეთი"
დირექტორი
ალექსანდრე ქევხიშვილი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს:

სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შენგელია

საფინანსო სამსახურის უფროსი იოსებ ჯავახიშვილი

ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი თემურ ჩაჩიბაია

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის
მთავარი სპეციალისტი გიორგი ბასილაია